აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის
2026 წლის სამოქმედო გეგმა

2026 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის
2026 წლის სამუშაო გეგმა

I. სამართლებრივი საფუძველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სამუშაო გეგმა შემუშავებულია:

- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე;
- კომიტეტისა და მისი აპარატის დებულებების შესაბამისად;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამისა და დარგობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

II. მიზანი

2026 წელს კომიტეტის მიზანია:

- აგრარული და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესება;
- საკანონმდებლო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა;
- ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება;
- საზოგადოებრივი ჩართულობის გაღრმავება;
- კლიმატგონივრული და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

III. საქმიანობის პრინციპები

კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება:

1. მდგრად განვითარებასა და კლიმატგონივრულ პოლიტიკას;
2. მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს;
3. გამჭვირვალობასა და საზოგადოებრივ მონაწილეობას;

4. ინსტიტუციურ კოორდინაციას;
5. შედეგებზე ორიენტირებულ ზედამხედველობას;
6. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან აქტიურ თანამშრომლობას;
7. მოქალაქეთა პრობლემების იდენტიფიცირებასა და საკანონმდებლო რეაგირებას.

IV. პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობა

მიზანი: დარგობრივი პოლიტიკის სამართლებრივი ბაზის გაძლიერება.

ღონისძიებები:

- ნარჩენების მართვის, სატყეო პოლიტიკის, წყლის რესურსების და ნიადაგის დაცვის სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების საკითხის განხილვა;
- საქართველოს პარლამენტის შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან კოორდინაცია;
- საკონსულტაციო საბჭოს ჩართვა კანონპროექტების შეფასებაში.

მოსალოდნელი შედეგი:
საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება/განხილვა.

2. საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება

მიზანი: დარგობრივი პოლიტიკის შესრულების ეფექტიანი კონტროლი.

ღონისძიებები:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში, მინისტრის საათის ფორმატში;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ანგარიშების მოსმენა;
- გარემოს დაცვის, ტყის, წყლისა და ნარჩენების მართვის პროგრამების შესრულების შეფასება;
- კლიმატის ცვლილების მიმართულებით განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

მოსალოდნელი შედეგი:
საზედამხედველო ანგარიშის მომზადება და რეკომენდაციების გაცემა.

3. გარემოსდაცვითი და კლიმატური პოლიტიკა

მიზანი: რეგიონში კლიმატგონივრული განვითარების ხელშეწყობა.

ღონისძიებები:

- ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების შეფასება;
- ეკოსისტემების აღდგენის პროგრამების შესრულების შეფასება;
- წყლის რესურსების მდგრადი მართვის პოლიტიკის ანალიზი;
- ნარჩენების შემცირების ინიციატივების მხარდაჭერა.

მოსალოდნელი შედეგი:
კომიტეტის რეკომენდაციების პაკეტი მთავრობისთვის.

4. საზოგადოებრივი ჩართულობა

მიზანი: ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაძლიერება.

ღონისძიებები:

- საკონსულტაციო საბჭოს რეგულარული სხდომები (პერიოდულად);
- მუნიციპალიტეტებში გასვლითი სხდომები;
- ფერმერებთან, აკადემიურ წრეებთან და დარგობრივ არასამთავრობოებთან თემატური შეხვედრები;
- მოქალაქეთა განცხადებების სისტემური ანალიზი.

მოსალოდნელი შედეგი:
დარგობრივი პოლიტიკის კორექტირება მოქალაქეთა საჭიროებებზე დაყრდნობით.

5. ინსტიტუციური გაძლიერება

მიზანი: კომიტეტის პროფესიული შესაძლებლობების ზრდა.

ღონისძიებები:

- ტრენინგები: პოლიტიკის ანალიზი, გარემოსდაცვითი შეფასება, საზედამხედველო მექანიზმები;
- საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მონაცემთა ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგი:
კომიტეტის აპარატის პროფესიული კომპეტენციის ზრდა.

V. კვარტალური დაგეგმვა (ასახულია ცხრილში)

კომიტეტის საქმიანობას წარმართავს დაა სამოქმედო გეგმაში დასახული პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებას უზრუნველყოფს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი:

კომიტეტის თავმჯდომარე - ფრიდონ ფუტკარაძე.
კომიტეტის წევრები: მარინე გვიანიძე, მინდია დიასამიძე, ლაშა სირაბიძე, არჩილ სამნიძე.
კომიტეტის აპარატი:
აპარატის უფროსი - რუსუდან შავაძე, თავმჯდომარის თანაშემწე - გიორგი დავითაძე, უფროსი სპეციალისტები - ნაზი ჯინჭარაძე, დავით წულუკიძე, ანზორ დუმბაძე.

	პრიორიტეტული მიმართულება 1. საკანონმდებლო საქმიანობის გაძლიერება						
№	აქტივობა	თემატური მომხსენებელი/ პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარეები	განხორციელების პერიოდი	ინდიკატორი	ვერიფიკაციის გზები
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
1.1	კომიტეტში შემოსული კანონპროექტების ანალიზი და განხილვა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	კანონპროექტის ავტორი/ინიციატორი	რეგულარულად	კომიტეტის დასკვნები შემუშავებულია, სხდომები ჩატარებულია	ოქმი, დასკვნა
1.2	საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა, საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	კანონპროექტის ავტორი/ინიციატორი	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაციები, წინადადებები
1.3	საკანონმდებლო საქმიანობის დაგეგმვის მიზნით საქართველოს დარგობრივ სამინისტროებთან და საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან კოორდინაცია	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	კანონპროექტის ავტორი/ინიციატორი	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაციები, წინადადებები

1.4	მოქალაქეთა მომართვიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების იდენტიფიცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული პროგრამებისა და რეკომენდაციების შემუშავება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	პროგრამის ავტორი/ ინიციატორი	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაციები, წინადადებები
1.5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და თვითმმართველ ორგანოებთან სამუშაო შეხვედრების ჩატარება შესაძლო საკანონმდებლო ინიციატივების განხილვისა და კოორდინაციის მიზნით	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები/ ინიციატივა შემუშავებულია	შეხვედრის მონაწილეთა სია, რეკომენდაციები/ ინიციატივა
1.6	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2027 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები	2026 წელი საშემოდგომო სესია	სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
1.7	რეგიონის სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სექტორის წარმომადგენლების რეკომენდაციების მიღება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით.	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	სექტორის წარმომადგენლები, საკონსულტაციო საბჭოს წევრები	წლის განმავლობაში	რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები
	პრიორიტეტული მიმართულება 2. კომიტეტის საზედამხედველო ეფექტიანობის ზრდა						
ამოცანა 2.1. ზედამხედველობა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე							
№	**აქტივობა**	**თემატური მომხსენებელი/ პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე, მხარეები**	**განხორციელების პერიოდი**	**ინდიკატორი**	**ვერიფიკაციის გზები**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**				
2.1.1	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშის მოსმენა, 2025 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ა. დუმბაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია

2.1.2	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ანგარიშის მოსმენა, 2025 წელს გაწეული სამუშაოებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ს. მ. სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.1.3	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ინფორმაციის მოსმენა, 2025 წელს გაწეული სამუშაოებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	ს. მ. სამინისტრო, აგროსერვის ცენტრი	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.1.4	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ 2025 წელს გაწეული სამუშაოებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ა. დუმბაძე	ს. მ. სამინისტრო, ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.5	სატყეო სააგენტოს ინფორმაციის მოსმენა, 2025 წელს გაწეული სამუშაოებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ს. მ. სამინისტრო, სატყეო სააგენტო	საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებული	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია

ამოცანა 2.2. ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობის პროცესის ეფექტიანი განხორციელება

№	აქტივობა	თემატური მომხსენებელი/ პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარეები	განხორციელების პერიოდი	ინდიკატორი	ვერიფიკაციის გზები
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
2.2.1	2025 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები	2026 წ. მაისი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.2	2026 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	რ. შავაძე ა. დუმბაძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის. სამინისტროები	2026 წ. ივნისი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა

2.2.3	2026 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები	2026 წ. სექტემბერი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.4	2026 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები	2026 წ. ოქტომბერი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.5	2027 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	ფინანსთა და ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები	2026 წლის საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა

პრიორიტეტული მიმართულება 3. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია, საჯაროობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

№	აქტივობა	თემატური მომხსენებელი/ პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე მხარეები	განხორციელების პერიოდი	ინდიკატორი	ვერიფიკაციის გზები
		კომიტეტის წევრი	აპარატის თანამშრომელი				
3.1	სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს განახლება, დებულების დამტკიცება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	საკონსულტაციო საბჭოს წევრები	საგაზაფხულო სესია 2026 წელი	სამუშაო შეხვედრა ჩატარებულია, საბჭო განახლებულია	ოქმი
3.2	სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში აქტუალური საკითხების რეგულარული განხილვა/წლიური ანგარიშის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	საკონსულტაციო საბჭოს წევრები	კვარტალურად/ 2026 წ. დეკემბერი	შეხვედრა ჩატარებულია	მონაწილეთა სია, დღის წესრიგი
3.3	კომიტეტის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებისთვის	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე გ. დავითაძე	დაინტერესებული პირები	2026 წელი	შეხვედრა ჩატარებულია	მონაწილეთა სია, ინფორმაცია მედია საშუალებებში, ვებგვერდი

3.4	ვებგვერდზე კომიტეტის დებულების განთავსება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე გ. დავითაძე	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტი	2026 წ. იანვარი	შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია	უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი
3.5	ვებგვერდზე კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ატვირთვა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე გ. დავითაძე	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტი	პერიოდულად	პერიოდულად	უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი
3.6	კომიტეტის გასვლითი შეხვედრების ჩატარება თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით, ფერმერებთან არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით	ფ.ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	დაინტერესებული პირები	პერიოდულად	შეხვედრა ჩატარებულია	მონაწილეთა სია, ინფორმაცია მედია საშუალებებში, ვებგვერდი
3.7	სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება აგრარული და გარემოს დაცვის მიმართულებით, ახალგაზრდებში პროფესიული ინტერესის გაძლიერების მიზნით	ფ.ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	დაინტერესებული პირები	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	მონაწილეთა სია, ინფორმაცია მედია საშუალებებში, ვებგვერდი
3.8	„სტუდენტებთან შეხვედრები დარგის პოპულარიზაციის, სასწავლო პრაქტიკისა და სტაჟირების ხელშეწყობის მიზნით“	ფ.ფუტკარაძე	რ. შავაძე ა. დუმბაძე	დაინტერესებული პირები	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	მონაწილეთა სია, ინფორმაცია მედია საშუალებებში, ვებგვერდი
3.9	არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა	ფ.ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	დაინტერესებული მხარეები/ არასამთავრობო ორგანიზაციები,	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	მონაწილეთა სია, ინფორმაცია მედია საშუალებებში, ვებგვერდი
3.10	შემოსული კორესპონდენციების სტატისტიკა და ანალიზი	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე	საქმისწარმოების განყოფილება	რეგულარულად	საინფორმაციო დოკუმენტი მომზადებულია	ანგარიში

3.11	მოქალაქეთა მიღება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	საქმისწარმოების განყოფილება, ჩართულობის ცენტრი	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაციები
3.12	მოქალაქეთა განცხადებების მიღება და პასუხის მომზადება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	კომიტეტი, კომიტეტის აპარატი	რეგულარულად	წერილები მომზადებულია	მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და პასუხები
	პრიორიტეტული მიმართულება 4. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობა და შესაძლებლობების გაძლიერება						
№	**აქტივობა**	**თემატური მომხსენებელი/ პასუხისმგებელი პირი**		**სხვა მონაწილე მხარეები**	**განხორციელების პერიოდი**	**ინდიკატორი**	**ვერიფიკაციის გზები**
		კომიტეტის წევრი	**აპარატის თანამშრომელი**				
4.1	კომიტეტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება	კომიტეტის ყველა წევრი	ყველა თანამშრომელი	საქმისწარმოების განყოფილება	პერიოდულად	საინფორმაციო დოკუმენტი მომზადებულია	
4.2	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის 2026 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე		2026 წ. მარტი	სამოქმედო გეგმა შემუშავებულია	სამოქმედო გეგმა
4.3	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის ანგარიშის მომზადება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე ნ. ჯინჭარაძე		2026 წ. მარტი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, ანგარიში მომზადებულია	ანგარიში
4.4	კომიტეტის აპარატის დებულების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების გადახედვა	ფ. ფუტკარაძე	ყველა თანამშრომელი		2026 წელი, საგაზაფხულო სესია	სამუშაო აღწერილობა განახლებულია	ოქმი
4.5	თემატური მოკვლევა	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	დარგობრივი უწყებები და მუნიციპალიტეტები	2026 წელი	საინფორმაციო დოკუმენტი მომზადებულია	რეკომენდაცია

4.6	თანამშრომელთა შეფასების ჩატარება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს აპარატი	წლის განმავლობაში ორჯერ	შეფასება ჩატარებულია	ოქმი
4.7	შეფასების შედეგად თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	უმაღლესი საბჭოს აპარატი	2026 წლის საშემოდგომო სესია	გეგმა შემუშავებულია	გეგმა
4.8	დონორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა (კონფერენცია/ტრენინგები)	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე დ. წულუკიძე	დაინტერესებული მხარეები/ არასამთავრობო ორგანიზაციები	არასასესიო პერიოდი	შეხვედრები ჩატარებულია	კონფერენცია/ ტრენინგი
4.9	აპარატის თანამშრომელთა შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე საქმიანობისა და სფეროში არსებული სიახლეების გაცნობის მიზნით	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	სამოქალაქო სექტორი/ არასამთავრობო ორგანიზაციები	კვარტალურად	შეხვედრები ჩატარებულია	ოქმი
4.10	კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება (თემატური ტრენინგები და სემინარები)	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	სასწავლო ცენტრი/ დონორი ორგანიზაციები	კვარტალურად	შესაბამისი ტრენინგები ჩატარებულია	ტრენინგის მასალები, მონაწილეთა სია
4.11	კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა სამსახურებრივი ვიზიტი საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში საკანონმდებლო საქმიანობის, საზედამხედველო მექანიზმებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის, გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული კომპეტენციების გაძლიერების მიზნით	ფ. ფუტკარაძე	რ. შავაძე	საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი	პერიოდულად	სამუშაო შეხვედრა ჩატარებულია	რეკომენდაცია მომზადებულია

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე
2026 წელი